

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო  
კონსერვატორია

*ხელნაწერის უფლებით*

**ლევან კვიციანი კმ ბაბრათიონ-დავითაშვილი**

**დასარტყამი ინსტრუმენტების ფუნქციები  
და გამოყენების ხერხები ქართულ  
კომპოზიტორთა  
ნაწარმოებულში  
(მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან დღემდე)**

სამუსიკო ხელოვნების დოქტორის – 0805

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი  
დისერტაციის

**ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი**

სპეციალიზაცია – კომპოზიცია

თბილისი-2014 წ.

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

ემერიტუსი პროფესორი **ნოდარ მამისაშვილი**

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,

სრული პროფესორი **მარინა ქავთარაძე**

ექსპერტი: სამუსიკო ხელოვნების დოქტორი, ასოც.  
პროფესორი ეკა ჭაბაშვილი

დისერტაციის დაცვა შედგება 2014 წლის 7 მარტს,  
2 სთ-ზე.

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელ-  
მწიფო კონსერვატორიის სადისერტაციო საბჭოს სხდომა-  
ზე № 2

მისამართი: თბილისის სახელმწიფო კონსერვატო-  
რია, გრიბოედოვის ქ. № 8, IV სართული, აუდიტორია  
№421

დისერტაციის და ავტორეფერატის გაცნობა შესაძ-  
ლებელია თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის  
სახელმწიფო კონსერვატორიის ბიბლიოთეკაში და კონ-  
სერვატორიის ვებ-გვერდზე: <http://www.conservatoire.edu.ge>

სადისერტაციო საბჭოს

სწავლული მდივანი \_\_\_\_\_

**მაკა ვირსალაძე**

სამუსიკო ხელოვნების დოქტორი,

ასოც. პროფესორი

## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

### საკვლევი თემის აქტუალობა

მსოფლიოში ტექნოლოგიების განვითარებამ ზოგადად სამყაროში ხმაურის მატება გამოიწვია. ამ პროცესმა ადამიანის სმენაზეც მოახდინა გავლენა მუსიკისადმი დამოკიდებულებაში რაც გარკვეული ცვლილებებით აისახა. მზარდმა მოთხოვნილებამ რიტმზე და ახალ ტემბრებზე თავისთავად გაზარდა დასარტყამ ინსტრუმენტებზე მოთხოვნილება, რამაც შესაბამისი ასახვა პოვა საკომპოზიტორო შემოქმედებაში. უკანასკნელი საუკუნის მანძილზე ხარისხობრივად შეიცვალა მიდგომა დასარტყამი ინსტრუმენტების ჯგუფის მიმართ და იგი სიმფონიური ორკესტრის „სრულუფლებიანი“ წევრი გახდა. უფრო მეტიც, კომპოზიტორები მხოლოდ მათთვის ქმნიან ნაწარმოებებს.

დასარტყამი ინსტრუმენტების ჯგუფი ყველაზე მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანია ორკესტრის სხვა ჯგუფებთან შედარებით. XX საუკუნეში გლობალიზაციის პროცესმა ორკესტრის კლასიკური შემადგენლობის დასარტყამი საკრავების გარდა, ხელმისაწვდომი გახდა სხვადასხვა ქვეყნის დასარტყამი ინსტრუმენტების გაცნობა და გამოყენება კომპოზიტორთა მიერ როგორც რიტმული, ასევე კოლორიტული ფუნქციით.

დასარტყამი საკრავები ოდითგანვე გამოიყენებოდა მუსიკაში. მათი განსხვავებული ფუნქციები და გამომსახველობითი ხერხები საინტერესოდ და ინტენსიურადაა წარმოდგენილი ახალ და უახლეს ქართულ პროფესიულ მუსიკაში – სხვადასხვა თაობის კომპოზიტორთა შემოქმედების სხვადასხვა უანრებში.

თანამედროვე მუსიკაში დასარტყამი საკრავები ერთგვარად განსაზღვრავენ ნაწარმოების ხასიათს, სტილსა

და ჟანრს. ჟანრების თანაარსებობის პირობებში შესაძლებელი გახდა ერთი კომპოზიტორის სხვადასხვა ნაწარმოებში განსხვავებული მიდგომა დასარტყამი ინსტრუმენტების ჯგუფის მიმართ. ამდენად, საინტერესოა დასარტყამი ინსტრუმენტების ფუნქციები და გამომსახველობითი ხერხები, რომლებიც განსხვავებულად ვლინდება სხვადასხვა კომპოზიტორთა შემოქმედებაში. ამ თვალსაზრისით ქართველ კომპოზიტორთა მუსიკა არ არის შესწავლილი; წინამდებარე ნაშრომი სწორედ ამ ხარვეზის გამოსწორების მცდელობას წარმოადგენს, აღნიშნული განაპირობებს ჩვენ მიერ შერჩეული სადისერტაციო თემის აქტუალობას.

იმდენად რამდენადაც ჩვენი საკვლევი თემის შესახებ ქართულ სამუსიკისმცოდნეო სივრცეში არ არსებობს ნაშრომი, სადაც უშუალოდ განხილული იქნებოდა დასარტყამი ინსტრუმენტების ფუნქციები და როლი, სადისერტაციო ნაშრომის პრობლემაზე მუშაობისას დავეყრდენით ზოგადად დასარტყამი საკრავების შესახებ არსებულ უცხოურ ლიტერატურას: ე. დენისოვის „Ударные инструменты в современном оркестре“; ა. კარსის „История оркестровки“, გ. დმიტრიევის «История оркестровки», ზ. სოლომონის “Writings on Music”, სტივ რაიხისა და პაულ ჰილერის და სხვათა შრომებს, აგრეთვე გავეცანით ქართველ მუსიკისმცოდნეთა (გ. ორჯონიკიძე, რ. წურწუშია, ა. წულუკიძე, გ. ტორაძე, მ. ქავთარაძე, ნ. ლორია, ნ. უდენტი, მ. ნადარეიშვილი და სხვ.) ცალკეულ ნაშრომებში გამოთქმულ მოსაზრებებს ქართულ მუსიკაში დასარტყამი ინსტრუმენტების შესახებ; გზამკვლევის ფუნქცია შეასრულა ივ. ჯავახიშვილის „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადმა საკითხებმა“ და შ. მშველიძის „საკრავმცოდნეობამ“.

დიდი დახმარება გაგვიწია ინტერვიუებმა კომპოზი-

ტორებთან –ზ. ნადარეიშვილთან, გ. შავერზაშვილთან, რ. კიკნაძესთან, შ. შილაკაძესთან, მ. ვირსალაძესთან და ე. ჭაბაშვილთან, მათთან საუბრებმა განამტკიცა ჩვენი პოზიციები, დაგვარწმუნა ანალიზის და თეორიული დებულებების სისწორეში.

### **საკვლევი თემის მიზანი და ამოცანები**

ნაშრომის მიზანია თანამედროვე ქართულ მუსიკაში დასარტყამი საკრავების გამოყენების განსხვავებული ფუნქციებისა და ხერხების გამოვლენა, მათი საკომპოზიტორო აზროვნების კონტექსტში გაანალიზება და კლასიფიკაცია; ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებების შესწავლისა და გაანალიზების საფუძველზე იმ გზის წარმოჩენა, რომელიც გაიარა ამ ინსტრუმენტების გამოყენების თვალსაზრისით ქართულმა ინსტრუმენტულმა მუსიკამ 60-იანი წლებიდან დღემდე.

ჩვენი ამოცანაა შევისწავლოთ XX საუკუნის 60-იანი წლებიდან დღემდე ქართველი კომპოზიტორების სხვადასხვა თაობის წარმომადგენელთა განსხვავებული ქანრის ინსტრუმენტული ნაწარმოებები დასარტყამი ინსტრუმენტების გამოყენების თვალსაზრისით, შერჩევითობის პრინციპით გავაანალიზოთ სიმფონიური ორკესტრისთვის და კამერული შემადგენლობისთვის დაწერილი ნაწარმოებები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განისაზღვრა კვლევის შემდეგი ამოცანები:

1) დასარტყამი საკრავების როგორც ტრადიციული, ისე ახალი ფუნქციებისა და ხერხების გამოყენების დინამიკის განსაზღვრა პერსპექტივაში;

2) შერჩევითობის პრინციპით ახალი ქართული პროფესიული მუსიკის ნიმუშების საკვლევი პრობლემის ჭრილში გაანალიზება;

3) ნ. სვანიძის, ს. ნასიძის, ბ. კვერნაძის, ნ. გაბუნias,

გ. ყანჩელის, შ. შილაკაძის, რ. კიკნაძის, გ. შავერზაშვილის, ზ. ნადარეიშვილის, მ. ვირსალაძის, ე. ჭაბაშვილის ნაწარმოებებში დასარტყამი საკრავების ფუნქციებისა და ხერხების გამოყენების სპეციფიკის დადგენა ავტორის საკომპოზიტორო ხელწერის გათვალისწინებით.

პრობლემაზე მუშაობისას განვიხილეთ და გავაანალიზეთ პროფესიული მუსიკის სხვადასხვა თაობის თერთმეტი კომპოზიტორის – ს. ნასიძის, ნ. სვანიძის, ბ. კვერნაძის, ნ. გაბუნias, გ. ყანჩელის, შ. შილაკაძის, რ. კიკნაძის, გ. შავერზაშვილის, ზ. ნადარეიშვილის, მ. ვირსალაძის, ე. ჭაბაშვილის 12 ნაწარმოები, რომლებშიც, ჩვენი აზრით, ყველაზე თვალნათლივ იკვეთება დასარტყამი საკრავების გამოყენების თანამედროვე ტენდენციები, დროის შესატყვისად ყალიბდება მათი ფუნქციები და ხერხები. შესაბამისად, სადისერტაციო **ნაშრომის კვლევის ობიექტია** ზემოთაღნიშნული კომპოზიტორების შემოქმედება (ს. ნასიძის სიმფონია №5 „ფიროსმანი“; გ. ყანჩელის სიმფონია №3; სვანიძის სიმფონია №1 სიმებიანი საკრავების, ფ-სა და დასარტყამი ინსტრუმენტებისათვის; ბ. კვერნაძის „ცეკვა ფანტაზია“ სიმფონიური ორკესტრისთვის, „ბერიკაობა“ ქორეოგრაფიული პოემა სიმფონიური ორკესტრისათვის; გ. შავერზაშვილის კონცერტი ფ-პ-სა და ორკესტრისათვის №2; ზ. ნადარეიშვილის „ლიტანია“ სიმებიანი ორკესტრის, ჩელესტის, ფ-პ-ს, დასარტყამისა და ჩანაწერისათვის; ნ. ნ. გაბუნias სონატა საყვირისათვის, ფორტეპიანოს და დასარტყამი ინსტრუმენტებისათვის; მ. ვირსალაძის „აფორიზმები“ სოპრანოს, მეცო-სოპრანოს, ტენორის, ბარიტონის, ბანისა და ინსტრუმენტული ანსამბლისათვის; ე. ჭაბაშვილი „შიდი საოცრება“ ნოველების ციკლი განსხვავებული სტრუქტურის ანსამბლებისათვის; რ. კიკნაძის „ხორუმი“ დასარტყამი ინსტრუმენტებისათვის; შ. შილაკაძის „კონცერტინო

ბრევისი“ დასარტყამი ინსტრუმენტებისთვის); ხოლო სადისერტაციო *კვლევის საგანს* კი ამ ნაწარმოებებში დასარტყამი საკრავების გამოყენების კონკრეტული ფორმები წარმოადგენს.

**ნაშრომის მეცნიერული სიახლე:** სამუსიკისმცოდნეო სივრცეში არ არსებობს ნაშრომი, სადაც განხილულია აღნიშნული პრობლემა ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებაში. კვლევის მეცნიერულ სიახლეს განაპირობებს ის, რომ დასარტყამი საკრავების როლი და მნიშვნელობა პირველად შეისწავლება ახალ და უახლეს ქართულ პროფესიულ მუსიკაში, რომელიც საკრავთა ამ ჯგუფის ინტენსიური გამოყენებით ხასიათდება. გარდა ამისა, სადისერტაციო ნაშრომში პირველადაა მოცემული ქართულ პროფესიულ მუსიკაში დასარტყამების გამოყენების ფუნქციებისა და ხერხების კლასიფიკაცია.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ დასარტყამი საკრავები ინტენსიურად და მრავალგვარად გამოიყენება (როგორც ტრადიციული, ისე ახალი ფუნქციებითა და ხერხებით) თანამედროვე ქართული პროფესიული მუსიკის სხვადასხვა თაობის კომპოზიტორთა შემოქმედებაში.

ნაშრომის თეორიულ და მეთოდოლოგიურ ბაზას შეადგენს სამუსიკისმცოდნეო ლიტერატურა მუსიკის თეორიისა და ისტორიის განხრით, მუშაობის პროცესში გამოყენებულია კვლევის სისტემური ანალიზის, ინდუქციური და კომპარატიული მეთოდები.

ნაშრომი აპრობირებულია თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კომპოზიციის მიმართულებაზე. დისერტაციას აქვს როგორც თეორიული ისე პრაქტიკული მნიშვნელობა. ის დახმარებას გაუწევს სტუდენტებსა და იმ ადამიანებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ქართული მუსიკის შესწავლის საკითხებითა და კონკრეტულად, დასარტყამი

ინსტრუმენტების როლითა და ფუნქციებით ნაწარმოებებში. ნაშრომი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას „საკრავომცოდნეობის“, „გაორკესტრებისა“ და „ქართული მუსიკის ისტორიის“ სალექციო კურსებში.

დისერტაცია მოიცავს 137 გვერდს. იგი შედგება შესავლის, სამი თავის, დასკვნის, გამოყენებული ლიტერატურისა (სულ 27 დასახელება) და სქემებისაგან. დისერტაციას თან ერთვის სანოტო დანართი და CD-აუდიოჩანაწერებით.

### **ნაშრომის შინაარსი**

**შესავალში** დასაბუთებულია საკვლევი თემის აქტუალობა, დასახულია კვლევის მიზნები და ამოცანები, საგანი და ობიექტი, განხილულია სამეცნიერო ლიტერატურა, რომელმაც წინამდებარე შრომისთვის მეთოდოლოგიური ბაზა შეგვიქმნა, აღნიშნულია დისერტაციის სიახლე, ძირითადი შედეგები, პრაქტიკული ღირებულება და ნაშრომის სტრუქტურა. აქვე მოკლე ექსკურსის სახით წარმოდგენილია დასარტყამი ინსტრუმენტების კლასიფიკაცია და მათი ნაირსახეობების მიმოხილვა მსოფლიო და ქართულ მუსიკაში, დასარტყამი საკრავების ევოლუცია და მათი გამოყენების ასპექტები ევროპულ ორკესტრებში, XX საუკუნეში მათი როლის ზრდის განპირობებულობა ჯახისადმი ინტერესით და მასობრივი მუსიკის ჟანრებით, კერძოდ როკით.

### **პირველი თავი – „ნაწარმოებები სიმფონიური ორკესტრისათვის“**

I თავი მოიცავს 5 ანალიზურ ქვეთავს, რომელიც ეთმობა სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებს: **სიმფონიებს** (ს. ნასიძის სიმფონია №5 „ფიროსმანი“ და გ. ყანჩელის

სიმფონია №3), **საორკესტრო პიესასა და პოემას** (ბ. კვერნაძის საორკესტრო პიესა „ცეკვა-ფანტაზია“ და ქორეოგრაფიულ პოემას „ბერიკაობა“), **საკონცერტო ჟანრს** (გ. შავერზაშვილის კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის №2).

I ქვეთავი—**„სულხან ნასიძის სიმფონია №5 „ფიროსმანი“** (1975) ჩვენთვის საინტერესოა არა მარტო კონცეფციით, არამედ თავისი ტემბრული დრამატურგიით. რა როლს ასრულებენ მოცემულ სიმფონიაში დასარტყამი ინსტრუმენტები და რა ხერხებითაა შექმნილი მხატვრული სახეები. ამ თვალსაზრისით სიმფონია „ფიროსმანი“ არ არის განხილული სამუსიკისმცოდნეო ლიტერატურაში.

კომპოზიტორი მაქსიმალურად იყენებს როგორც სიმაღლის მქონე, ისე სიმაღლის არმქონე დასარტყამი ინსტრუმენტების შესაძლებლობებს. სიმაღლის მქონე დასარტყამ ინსტრუმენტებს კომპოზიტორი შემდეგი ფუნქციებით წარმოგვიდგენს:

1. ინტონაციურ-მელოდიური ფუნქციით - ვიბრაფონი (Vib), პატარა ზარები (C-lli).
2. ჰარმონიული ფუნქციით - ზარები (C-ne) (არპეჯიოთი).
3. მზარდი და კლებადი დინამიურობის ფუნქციით-ტიმპანი (Timp).
4. კოლორიტული ფუნქციით - ტიმპანი (ტიმპ), ვიბრაფონი (Vib), ზარები (C-ne), პ.ზარები (C-lli).
5. ბანის გაძლიერების ფუნქციით - ტიმპანი (Timp).
6. რიტმული ფუნქციით - ზარები (C-ne) (პატერნში ერთი ბგერით).
7. რიტმულ-ტემბრული ფუნქციით - ზარები (C-ne).
8. ტემბრული დაშრევების ფუნქციით - ტიმპანი (Timp), ზარები (C-ne), ვიბრაფონი (Vib).

9. საორკესტრო პედალირების ფუნქციით - ვიბრაფონი (Vib), ზარები (C-ne).

სიმალის არმქონე დასარტყამი ინსტრუმენტები კი მოცემულია შემდეგი ფუნქციებით:

1. რიტმული ფუნქციით - პატარა დაფდაფი (T-ro), დაფდაფი (Cass), ტომტომი (Tom-t), ტამტამი (Tam-t), თეფშები (Pitt).
2. წერტილოვანი დარტყმის ფუნქციით - პატარა დაფდაფი (T-ro), ტომტომი (Tom-Tom), დაფდაფი (Cass), თეფშები (Pitti).
3. საორკესტრო პედალირების და ფონიკური ფუნქციით – თეფშები (Pitti)
4. მზარდი და კლებადი დინამიკურობის ფუნქციით - პატარა დაფდაფი (T-ro), დაფდაფი (Cass), თეფშები (Pitti), ტამტამი (Tam-t).
5. კოლორიტული ფუნქციით - ტამტამი (Tam-t), სამკუთხედი (Tr-lo)
6. ტემბრული დაშრევების ფუნქციით - დაფდაფი (Cass), თეფშები (Pitti)
7. პატერნში წამყვანი რიტმული ფიგურის ფუნქციით - პატარა დაფდაფი (T-ro), დაფდაფი (Cass), ტომტომი (Tom-t).

მათი შერწყმის შედეგად იღებს გამორჩეულ ქღერადობას, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორივე სახეობის დასარტყამი ინსტრუმენტების ქღერადობის შერწყმა ორკესტრის სხვა ინსტრუმენტებთან, რის შედეგადაც ვიღებთ მრავალფუნქციურ დაშრევებას. სწორედ ამით გამოირჩევა აღნიშნული ნაწარმოები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კომპოზიტორმა ნაწარმოების ძირითადი მხატვრული სახე შექმნა დასარტყამი ინსტრუმენტის---ვიბრაფონის (Vib) და ჩელესტის(Cel) ტემბრული დაშრევებით. ამ ინსტრუმენტებს ფიროსმანის

მხატვრული სახის შექმნის ფუნქცია დააკისრა, გამომსახველობითი ელფერი შესძინა და გამოკვეთა ნაწარმოების ძირითადი კონცეფცია.

II ქვეთავში–„*გია ყანჩელი №3 სიმფონია* (1977)“ კომპოზიტორი ასევე იყენებს როგორც სიმაღლის მქონე, ისე სიმაღლის არმქონე ინსტრუმენტებს. აღნიშნული სიმფონია ჩვენთვის საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ კომპოზიტორი, დასარტყამი ინსტრუმენტების გარდა, მათი ფუნქციით ხმარობს ორკესტრის სხვა ინსტრუმენტებსაც, რითაც ტემბრულ მრავალფეროვნებას აღწევს.

იგი მიმართავს სხვადასხვა არაორდინალურ გამომსახველობით ხერხს: ერთი და იმავე ბგერის აქცენტირებული შესრულება, ან მჭიდროდ განლაგებული აკორდების გამეორება. კლასტერების სონორულ-რიტმული დარტყმები დასარტყამი ინსტრუმენტების ბგერის იმიტაციას გვაძლევს, რაც აძლიერებს და ამდიდრებს უღერადობას. არანაკლებ საინტერესოა კომპოზიტორის მიერ აღნიშნულ ნაწარმოებში ტემბრული ჩანაცვლების ხერხის გამოყენება. ერთმანეთს ხშირად ენაცვლება სხვადასხვა დასარტყამი ინსტრუმენტი, რაც უღერადობას ამდიდრებს. კომპოზიტორის მიერ გამახვილებულია ყურადღება უღერადობის ბალანსზე დაშრეების დროს; ამისთვის ის იყენებს სხვადასხვა ხერხს:

1. უღერადობის დაბალანსება დინამიკური ნიშნებით;
2. კონკრეტული ფუნქციის გამოყოფა აქცენტით ან მეტრის ძლიერი დროით, ბანის ფუნქციით და სხვ.;
3. უღერადობის გახანგრძლივებით ან შეწყვეტით.

ამრიგად, გია ყანჩელმა მესამე სიმფონიაში სიმაღლის მქონე და სიმაღლის არმქონე დასარტყამი ინსტრუმენტების ფუნქციით დატვირთა ორკესტრის სხვა ინსტრუმენტებიც, რითაც წინ წამოწია სონორულ-რიტმული

ქლერადობა, განსაკუთრებით ყანხელის სიმფონიის დრამა-ტურგიული მოდელისათვის ტიპურ ქმედით „აგრესიულ“, კლასტერულ მონაკვეთებში.

III ქვეთავი—„*ბიძინა კვერნაძის „ცეკვა-ფანტაზია“ სიმფონიური ორკესტრისათვის (1958)*“ განსაკუთრებით საინტერესოა დასარტყამი ინსტრუმენტები გამოყენების თვალსაზრისით. კომპოზიტორი ძირითადად შემოიფარგლება ორი დასარტყამი ინსტრუმენტით: ტიმპანი (Timp.) და თეფშები (P-tti), მაგრამ ისინი სხვადასხვა ფუნქციითაა წარმოდგენილი. კერძოდ ტიმპანის ფუნქციებია:

1. ბანის ფუნქციის გაძლიერება;
2. წამყვანის ფუნქცია რიტმულ პატერნში;
3. საორკესტრო ტუტის ქლერადობის დროს დინამიკური ფუნქცია;
4. სოლო პარტიის მკაფიო ინტონაციური ფუნქცია.

მეორე დასარტყამი ინსტრუმენტი, რომელიც შედარებით ნაკლებად არის გამოყენებული ნაწარმოებში არის თეფშები (P-tti), რომელთა ფუნქციებია:

1. საორკესტრო ქლერადობის გაძლიერების დინამიკური ფუნქცია;
2. რიტმული ფიგურის ხაზგასმის ფუნქცია, მათ შორის სინკოპირების ფუნქცია;
3. კოლორიტული ფუნქცია.

აღნიშნულ ინსტრუმენტებს კომპოზიტორი, ამავე დროს, სხვადასხვა ხერხით იყენებს (აქცენტირება, ტრემოლო, წყვეტილი ქლერადობა), რაც ნაწარმოებს, ორკესტრის სხვა ინსტრუმენტებთან ერთად, მუსიკალურად ხატოვან ქლერადობას სძენს. მესამე დასარტყამი ინსტრუმენტი, პატარა დაფდაფი (T-ro), კომპოზიტორმა მხოლოდ ერთ მონაკვეთში გამოიყენა რიტმულ-ტემბრული ფუნქციით. აღნიშნული ნაწარმოები მნიშვნელოვანია დასარტყა-

მი ინსტრუმენტების დრამატურგიით. ტიმპანის მრავალ-ფუნქციური გამოყენება და, განსაკუთრებით, საორკესტრო უღერადობის გაძლიერების შემდეგ ტიმპანის სოლო პარტია, უღერადობის თვალსაზრისით ნაწარმოებს კოლორიტულობას სძენს. უნდა აღინიშნოს, რომ დასარტყამი ინსტრუმენტის ამგვარი მხატვრული გამომსახველობის დინამიკა გამორჩეული იყო იმდროინდელ ქართულ ინსტრუმენტულ მუსიკაში (1958).

IV ქვეთავი— *ბიძინა კვერნაძის „ბერიკაობა“ (ქორეოგრაფიული პოემა სიმფონიური ორკესტრისათვის, 1979)* დიდ ინტერესს იწვევს დასარტყამი ინსტრუმენტების პატერნებში გამოყენების თვალსაზრისით. სწორედ პატერნები ქმნიან ნაწარმოების ქარგას, რომელიც მხატვრული სახეებით არის გამდიდრებული, ხოლო დასარტყამი ინსტრუმენტები მოცემული პატერნების ერთგვარ საყრდენს წარმოადგენს და წამყვან რიტმულ ფუნქციას ასრულებს, თუმცა, მათთან ერთად იშვიათად ორკესტრის სხვა ინსტრუმენტებიც გვხვდება. დასარტყამი ინსტრუმენტების გვერდით პატერნებში გამოიყენება არა დასარტყამი ინსტრუმენტები დასარტყამების იმიტაციით (მაგ: ფაგოტები, ჩელოები, კონტრაბასები) კომპოზიტორის მიზანია წინ წამოსწიოს კლასტერული და სონორული უღერადობა, რაც რიტმულ ფიგურებს გამოყოფს და ხაზს უსვამს. ნაწარმოები საინტერესოა პატერნებისა და რიტმული ფიგურების შედგენილობის მრავალფუნქციური დაშრეგების თვალსაზრისით. დასარტყამი ინსტრუმენტები დატვირთულია სხვადასხვა გამომსახველობითი ფუნქციებითა და ხერხებით, რაც ნაწარმოების უღერადობას მრავალფეროვანსა და მიმზიდველს ხდის. ბიძინა კვერნაძის ქორეოგრაფიული პოემა “ბერიკაობა” გამორჩეულია იმით, რომ კომპოზიტორი დასარტყამი ინსტრუმენტების გამოყენებით სხვა ინსტრუმენტებთან ერთად ახდენს კარგად ორგანიზებუ-

ლი რიტმული მონაკვეთების კონცეპტრაციას პატერნებში და ამ უკანასკნელის საფუძველზე აგებს ნაწარმოების დრამატურგიას.

V ქვეთავში საკონცერტო ჟანრის ნაწარმოებებიდან შერჩეულია 1992 წელს შექმნილი *გიორგი შავერზაშვილის კონცერტი ფორტეპიანოს და ორკესტრისათვის №2 (1992)*. კომპოზიტორს, ცხადია, წინა პლანზე წამოწეული აქვს სოლისტის – ფორტეპიანოს პარტია. ყველა დანარჩენი ინსტრუმენტის ჟღერადობას მას მიუსადაგებს და იმ ფუნქციას ირჩევს, რომელიც კონკრეტულ მომენტში სჭირდება სოლისტის პარტიისათვის. რაც შეეხება დასარტყამ ინსტრუმენტებს, ისინი ძირითადად წარმოდგენილია ჟღერადობისა და კოლორიტულობის გაძლიერების, მეტრის გამოკვეთის, სინკოპირების, აქცენტირებისა და ტემბრული ჩანაცვლების ფუნქციით. ყურადღებას იპყრობს ფორტეპიანოს პარტიაში მჭიდროდ განლაგებული ბგერებით მიღებული კომპაქტური ჟღერადობის სინკოპირებული აკორდები, რომლებიც რიტმულად გამახვილებულია და დასარტყამების ფუნქციითაც არის გამოყენებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია ნაწარმოების კულმინაციური მონაკვეთი, სადაც ავტორი ალვატორიკულ ჟღერადობას გეთავაზობს ორკესტრის ყველა ინსტრუმენტის გამოყენებით, მათ შორის დასარტყამებით. მოცემულია რიტმულ-ინტონაციური, ტემბრული, სხვადასხვა ინტენსიობისა და ზომის პატერნები, რომლებიც ერთმანეთზე დაშრევებით ეფექტურ და მძლავრ ჟღერადობას ქმნის. კომპოზიტორი მოცემულ ნაწარმოებში ითვალისწინებს დასარტყამი ინსტრუმენტების ტემბრულ-აკუსტიკურ მონაცემებს, რის შედეგადაც აღწევს კომპოზიციურ მთლიანობას და ხატოვან ჟღერადობას.

## მეორე თავი – „ნაწარმოებები კამერული შემადგენლობისთვის“

II ანალიზური თავი აერთიანებს სხვადასხვა კამერული შემადგენლობისთვის დაწერილ შვიდ განსხვავებული ჟანრის ნაწარმოებს, რომელშიც დასარტყამების ფუნქცია არა მარტო გაზრდილია (ნათელა სვანიძის სიმფონია №1 სიმებიანების, ფორტეპიანოს და დასარტყამებისთვის, ზურაბ ნადარეიშვილის “ლიტანია” სიმებიანი ორკესტრის, ჩელესტის, ფორტეპიანოს, დასარტყამისა და ჩანაწერისათვის, ნოდარ გაბუნიას სონატა საყვირისათვის, ფორტეპიანოსა და დასარტყამი ინსტრუმენტებისათვის, მაკა ვირსალაძის „აფორიზმები“ სოპრანოს, მეცო-სოპრანოს, ტენორის, ბარიტონის, ბანისა და ინსტრუმენტული ანსამბლისათვის, ეკა ჭაბაშვილის „შვიდი საოცრება“, ნოველების ციკლი განსხვავებული სტრუქტურის ანსამბლებისათვის), არამედ მხოლოდ ამ საკრავთა შემადგენლობით შემოიფარგლება (რეზო კიკნაძის „ხორუმი“, დასარტყამი ინსტრუმენტებისათვის (სამი შემსრულებლისთვის), შავლეგ შილაკაძის CONCERTINO BREVIS დასარტყამი საკრავებისთვის).

I ქვეთავი *„ნათელა სვანიძის სიმფონია №1 სიმებიანი საკრავების, ფორტეპიანოსა და დასარტყამი ინსტრუმენტებისათვის (1967)“* კომპოზიტორის ავანგარდული სტრუქტურალისტური ხელწერით ხასიათდება და ეს ნათლად ჩანს დასარტყამი ინსტრუმენტების გამოყენების სპეციფიკაშიც. განსაკუთრებით აღსანიშნავია ავტორის მიერ კომპოზიციური რიგის გამოყენება, რის შედეგადაც ვიღებთ ტემბრულ და ტემბრულ-რიტმულ კონსტრუქციულ მონაცვლეობებს, რომლებშიც ორკესტრის სხვა ინსტრუმენტებთან ერთად მონაწილეობენ დასარტყამი ინსტრუმენტები. გვხვდება დასარტყამი ინსტრუმენტების ტემბრული დაშრეგება როგორც სინქრონულ, ისე არასინქრონულ

ვერტიკალში. გვაქვს დასარტყამი ინსტრუმენტების სოლო ფრაგმენტებიც: ტომტომი (Tom-t), ფრუსტა (Frusta) და ტამტამი პროფონდო (Tam-t prof). სიმაღლის მქონე ინსტრუმენტებიდან ავტორი იყენებს მხოლოდ ტიმპანს, რომელიც სხვადასვა ფუნქციითაა წარმოდგენილი:

1. ინტონაციურ-მელოდიური ფუნქციით;
2. მზარდი და კლებადი დინამიკურობის ფუნქციით;
3. რიტმული (მათ შორის აქცენტირებულ-სინკოპირებული) ფუნქციით;
4. ტემბრული დაშრეგების ფუნქციით;
5. რიტმულ პატერნში წამყვანი ინსტრუმენტის ფუნქციით;
6. ტემბრული მონაცვლეობის ფუნქციით;

აღსანიშნავია, რომ ავტორს ინსტრუმენტები – ტამტამი პროფონდო (Tam-t prof) და ფრუსტა (Frusta) კონტრასტული, ტემბრული დატვირთვით შემოჰყავს, მაგრამ, ამავე დროს, მას ფორმაქმნადობის ფუნქციასაც ანიჭებს. ეს არის ნაწარმოების ნაწილებს შორის დამამთავრებელი, ცეზურის მომასწავებელი ფუნქცია, კერძოდ I და III ნაწილის ბოლოს ტამტამი პროფონდო (Tam-t prof) (რომელიც დაბალი ბანით გამოირჩევა), ხოლო II ნაწილის ბოლოს ფრუსტა (Frusta).

როგორც აღნიშნული იყო, დასარტყამი ინსტრუმენტები გათანაბრებულია და გამთლიანებული ორკესტრის სხვა ინსტრუმენტებთან სტრუქტურალურ-კომპოზიციური პრინციპის განხორციელების პროცესში. განსაკუთრებით ეს ვლინდება ავტორის მიერ წარმოდგენილ კომპოზიციურ რიგში და დაშრეგების დროს, რის შედეგადაც ავტორი ქმნის ერთგვარ ტემბრულ დრამატურგიას.

II ქვეთავი *ზურაბ ნადარეიშვილის ნაწარმოები „ლიტანია“ სიმებიანი ორკესტრის, ჩელესტის, ფორტეპიანოს, დასარტყამებისა და ჩანაწერისათვის (2003)“* ჩვენთვის სა-

ყურადღებოა დასარტყამი ინსტრუმენტებისა და მათი შემსრულებლების სიმრავლით (9 ინსტრუმენტი და 6 შემსრულებელი). საინტერესოა თემატიკითაც – როგორაა წარმოდგენილი რელიგიური შინაარსის (ლიტანია) პროგრამულ ნაწარმოებში დასარტყამი ინსტრუმენტები. დასარტყამ ინსტრუმენტებს თავიანთი დამოუკიდებელი პარტიები აქვთ, რაც განვითარების გარკვეულ დინამიკას გვიჩვენებს. საინტერესოადაა ორგანიზებული დასარტყამი ინსტრუმენტების დაშრეგების რიგი და სტრუქტურა ტემბრული თვალსაზრისით. აღსანიშნავია, სიმაღლის არმქონე დასარტყამი ინსტრუმენტების პარტიები, რომლებიც ერთგვარ ფონს ქმნიან. დასაწყისში დასარტყამი ინსტრუმენტების პარტიები წარმოდგენილია ტემბრულ-აკუსტიკური ინდივიდუალობით, ხოლო შემდეგ იგრძნობა სწრაფვა დამოუკიდებელი გზით რიტმულ-ინტონაციური პატერნის შექმნისაკენ. ამ დროს უღერადობა თითქოს ქაოტური, არაორგანიზებული და არათანმიმდევრულია, ხოლო პატერნში ყველაფერი „ლაგდება თავის ადგილზე“, ხდება ორგანიზებული და ისმის პატერნში მონაწილე თითოეული ინსტრუმენტის გამოკვეთილი ხმოვანება, მათ შორის დასარტყამებისაც.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ნაწარმოებში სიმაღლის მქონე ინსტრუმენტების: მარიმბას (Marimb), პატარა ზარების (C-lli) და ვიბრაფონის (Vib) თანდათანობითი დაშრეგება, რომლის დროსაც მიიღება სონორული უღერადობები, რაც ცვალებადია და, ამავე დროს, განვითარებადი. რაც შეეხება ზარებს (C-ne), კომპოზიტორი განსაკუთრებულად ხაზს უსვამს მათ კონცეფციურ, რელიგიურ თემასთან დაკავშირებულ სიმბოლურ-სემანტიკურ ფუნქციას, რომელიც ნათლად გამოიკვეთება ნაწარმოების ფინალში.

III ქვეთავი „*ნოდარ გაბუნიას სონატა ფორტეპიანოს, საყვირისა და დასარტყამი ინსტრუმენტებისათვის (1980)*“ ჩვენთვის საინტერესოა როგორც მცირე შემადგენლობის ანსამბლური ნაწარმოები, სადაც კომპოზიტორი დასარტყამ ინსტრუმენტებს წარმოგიდგენს მრავალფეროვანი შემადგენლობით, ფუნქციებით და ხერხებით. აღნიშნული ნაწარმოები საინტერესოა საშემსრულებლო თვალსაზრისითაც. კერძოდ, ერთი შემსრულებელი უკრავს 9 დასარტყამ ინსტრუმენტზე (მარიმბა (Marim.), პატარა ზარები (C-Ili), ტამტამი (Tam-t), ტომტომი (Tom-t), ბონგო (Bong), დაკიდებული თეფში (Pitto sosp.) თეფშები (P-tti), მარაკასი (Maracas.) სამკუთხედი (Tr-lo). კომპოზიტორს კარგად აქვს ორგანიზებული და გააზრებული ამ ინსტრუმენტების აკუსტიკურ-ტემბრული თვისებები და საშემსრულებლო ხერხები (სხვადასხვა ჯოხების გამოყენება და რიტმული მონაკვეთების მონაცვლეობა). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი ხშირად იყენებს დასარტყამ ინსტრუმენტებს ტემბრულ-რიტმული ჩანაცვლების ფუნქციით, ასევე მიმართავს გამომსახველობის არაორდინალურ ხერხებს და სურს მიიღოს განსხვავებული ახალი ჟღერადობა, რომელიც თავისებურ ელფერს შესძენს ნაწარმოების ხმოვანებას.

ჩვენთვის საინტერესო იყო აღნიშნული სონატა ინსტრუმენტების შერჩევის თვალსაზრისითაც (საყვირი, ფორტეპიანო და დასარტყამი ინსტრუმენტები) და დასარტყამი ინსტრუმენტების კომპოზიციური დატვირთვით; ყველა დასარტყამ ინსტრუმენტს განსაზღვრული ფუნქცია აკისრია.

IV ქვეთავი – *მაკა ვირსალადის* შემოქმედება ჩვენთვის საინტერესო იყო დასარტყამი ინსტრუმენტების გამოყენების თვალსაზრისით ანსამბლური ტიპის ვოკალურ-ინსტრუმენტულ ნაწარმოებში, რომელიც შექმნილია ღრმად

ფილოსოფიურ თემატიკაზე სახელწოდებით „**აფორიზმები**“ (*შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნიდან“*, (1997). ამ ნაწარმოებში კომპოზიტორს დასარტყამი ინსტრუმენტები ფუნქციური მნიშვნელობით აქვს გადანაწილებული ორკესტრის სხვადასხვა ინსტრუმენტებთან (მაგ: პირველ ნაწილში „რომელმან“ გვხვდება შემდეგი მონაკვეთი: მოცემულია ბანი (basso), რომელსაც ჩელოს (Cell) ტრემოლოს შემდგომ ეშრეება ტიმპანის ტრემოლო. ამ უკანასკნელს კი, ეშრეება თეფშებისა და ტამტამის ტრემოლო მეოთხედიანი გრძლიობით. აქ ტემბრალური დაშრეების რიგია მოცემული; ტიმპანის ტრემოლოს აქვს ფონიკური ფუნქცია, აძლიერებს ბანის დატვირთვას ჩელოსთან ერთად და კონტრაბასთანაა დაშრეებული; ტამტამი კოლორისტულ ფერადოვან ჟღერადობის ქმნის. ამ ინსტრუმენტებს იგი თავისუფლად და თამამად იყენებს. ნაწარმოებში გამოყენებულია დასარტყამი ინსტრუმენტების გამომსახველობის ტრადიციული საშემსრულებლო ხერხები: ტრემოლო, ტრელი, გლისანდო. განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ, რომ ავტორი დინამიკური ნიშნების კომპოზიციური განაწილებითა და ტრადიციული საშემსრულებლო ხერხებით ქმნის დასარტყამი ინსტრუმენტების დამოუკიდებელ პარტიებს, რომლებსაც ეშრეება სხვა ინსტრუმენტები და ვოკალური ხმები. აღნიშნული ხერხების, დინამიკური ნიშნების, სხვადასხვა ინსტრუმენტთა ტემბრული თანმიმდევრობით, კომბინაციითა თუ მრავალფუნქციური დაშრეებით ავტორი დასარტყამი ინსტრუმენტების ჟღერადობის მრავალფეროვნებას აღწევს. რაციონალურად აქვს მას გააზრებული სცენიურ-აკუსტიკური ბალანსიც. დასარტყამი ინსტრუმენტების კომპოზიციები მიესადაგება ნაწარმოების თითოეული ნაწილის მხატვრულ გამომსახველობას. ინსტრუმენტების ამგვარი მრავალფუნქციური გააზრება, ორკესტრში მათი ჟღერადობის დაბა-

ლანსება და გადანაწილება ნაწარმოებს რაციონალურ, ღრმად გააზრებულ ხასიათს ანიჭებს.

V ქვეთავი *„ეკა ჭაბაშვილის „შეიდი საოცრება“ (2000-2002) პროგრამული ნაწარმოებია, რომელიც აღსანიშნავია არატრადიციული დასარტყამი ინსტრუმენტების გამოყენებით: ოკეანდრამი, ჯამბუი, დარაბუკა, ფლექსატონი და სხვ. სხვადასხვა ემოციის გადმოსაცემად კომპოზიტორი იყენებს განსხვავებულ დასარტყამ ინსტრუმენტს და სხვადასხვა გამომსახველობით ხერხს, რაც არაორდინალურ და მრავალფეროვან ბგერწერით პალიტრას იძლევა: ოკეანდრამის მინიშნებული სიჩქარით შესრულება იძლევა ზღვის ტალღებისა და წყლის ხმაურის იმიტაციას; ჯამბუიზე თითების დაკვრით წვიმის ხმის იმიტაციას; მარიმბა ჯოხის თავის კლავიშებზე გადაგორებით და ამ ხმაზე ჯამბუის უღერადობის დაშრევეებით იღებს ბუნების მოვლენებისათვის დამახასიათებელი ხმის იმიტაციას; კასტანეტების იმპროვიზირებული პატერნით იღებს ცხენების ჭენების ხმის იმიტაციას; თეფშებზე ცოცხით შესრულებას ეშრევება კასტანეტების უღერადობა, რაც გვაძლევს შიშინისა და კოცონის ტაცანის იმიტაციის ეფექტს. ტამტამის ტრემოლოსა და თეფშზე ცოცხით შესრულების ხმის შერწყმის შედეგად ვიღებთ ქარიშხლის ხმის იმიტაციას.*

უნდა აღვნიშნოთ, რომ კომპოზიტორი ამავე დროს დასარტყამ ინსტრუმენტებს ტრადიციული ფუნქციებითაც იყენებს, როგორიცაა: რიტმული ფიგურის გამოყოფა, წერტილოვანი დარტყმა, მზარდი და კლებადი დინამიკურობა, აქცენტირება ა.შ. ასე რომ კომპოზიტორი მიმართავს როგორც ტრადიციულ გამომსახველობით ხერხებს, ასევე არაორდინალურს (მის მიერ შექმნილს), ან კომპლექსურად, რაც თავის მხრივ ნაწარმოების პროგრამული ხასიათის შესატყვისია და მას ორიგინალურობას სძენს.

VI ქვეთავი – „რევოზ კიენადის ნაწარმოები „ხორუმი“ (დასარტყამებით სამი შემსრულებლისათვის, (1997)“  
საინტერესოა, ერთი მხრივ, როგორც მხოლოდ სიმაღლის არქონე დასარტყამი ინსტრუმენტებისათვის დაწერილი სტრუქტურალისტური ნაწარმოები. კომპოზიციაში აღსანიშნავია ტემბრული დრამატურგია, რომელიც ნაწარმოების „გრაფიკულ“ მონახაზს ქმნის; ავტორს დასარტყამი ინსტრუმენტები თანდათანობით მათი ტემბრულ-აკუსტიკური მონაცემების გათვალისწინებით შემოჰყავს, რაც ქმნის უღერადობის ინტენსივობას და მრავალფეროვნებას. ტემბრის შერჩევითა და ცვალებადობით, რიტმული ფიგურების და დაშრევების გახშირებით მიიღება ხმოვანების მზარდი დინამიკურობა. თითოეულ შემსრულებელს აქვს დამოუკიდებელი, მაგრამ განვითარებადი რიტმული მონაკვეთები, რომლებიც ერთმანეთს თანდათანობით ეშრეება და იქმნება რიტმული პოლიფონია. ყურადღებას იპყრობს რიტმულად გამოკვეთილი სტრუქტურული მონაკვეთი, რომელიც იძენს ლაიტ-რიტმის ფუნქციას. ნაწარმოებში ყურადღებას იპყრობს კოლორიტული უღერადობა, სადაც განტვირთვის გზით და დაშრევების მინიმუმამდე დაყვანით ხდება ხმოვანების ინტენსივობის კლება და შემსრულებლის პარტიების ინდივიდუალური კუთხით წარმოჩენა. პაუზების გახშირება, აჩქარებები და შენელებები (აგოგიკური ხერხის გამოყენება), ტრემოლოს, ტრელისა და განსხვავებული რიტმული ფიგურების გამოყენება სოლო ფრაგმენტებში მკვეთრად უპირისპირდება წინა ნაწილების გამომსახველ ანსამბლურ უღერადობას. განსაკუთრებით გამოვყოფ ნაწარმოების ფინალს, სადაც პას დრამის ლაიტრიტმულ ფიგურას თანდათანობით ეშრეება სხვადასხვა დასარტყამი ინსტრუმენტი და ემატება ახალი ინსტრუმენტი ჩინური თეფში (Splash), რომელიც გამოირჩევა თავისი მკვეთრი და ძლიერი ხმოვანებით. ამ

ინსტრუმენტის გამოყენებით ავტორი აღწევს მაქსიმალურად ძლიერ და გამოკვეთილ უღერადობას.

VII ქვეთავი – „*შავლებ შილაკაძის ნაწარმოები „კონცერტინო-ბრევისი“ (1992)*“ ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, რადგან ნაწარმოები შექმნილია მხოლოდ დასარტყამი ინსტრუმენტებისთვის. მასში გამოყენებულია სიმაღლის მქონე და სიმაღლის არმქონე დასარტყამი ინსტრუმენტები. კომპოზიტორის მიერ შერჩეულ დასარტყამ ინსტრუმენტებს ახასიათებთ მონოფუნქციალიზმი. ვფიქრობთ, სწორედ მათი ეს სპეციფიკა იყო განმსაზღვრელი ინსტრუმენტთა შერჩევისას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მხოლოდ დასარტყამი ინსტრუმენტებისთვის შექმნილი ნაწარმოებისათვის.

სიმაღლის მქონე ინსტრუმენტებს მიყავს მელოდიური ხაზი, რომელსაც დაშრეების დროს სხვა დასარტყამი ინსტრუმენტები უქმნიან ფონს. ფონი არის ზოგჯერ დინამიკური, ზოგჯერ კოლორიტული და ა.შ.. ინსტრუმენტები რიტმული გამომსახველობით არის ერთმანეთთან დაპირისპირებული. ნაწარმოების დრამატურგიაში დინამიკა და აგოგიკა ისე არის წარმოდგენილი, რომ მას ლოგიკურად მიყვავართ დოლის რიტმული პატერნისკენ. დოლი კი ამ ნაწარმოებში ტემბრულ-სემანტიკური ფუნქციითაა დატვირთული. კომპოზიტორს ის საგანგებოდ აქვს გამოყენებული პატერნში, რამაც ნაწარმოებს ტემბრული თვალსაზრისით ეროვნული, ფოლკლორული იერი შესძინა. მრავალფუნქციური დაშრეების დროს გამოიკვეთება პოლიმეტრული მონაკვეთი. ნაწარმოების ერთ-ერთი საინტერესო მახასიათებელი არის პოლიფონიური ქსოვილი, სადაც თითოეული ინსტრუმენტის პარტია იღებს დამოუკიდებელ განვითარებას, რის შედეგადაც ჩანს ინსტრუმენტთა ინდივიდუალობა. მეტრის დაპირისპირება კი მათი პარტიების ხასიათისა და ფუნქციის განმსაზღვრელია.

დისერტაციის დასკვნით ნაწილში შეჯამებულია ჩატარებული კვლევა და გამოტანილია შემდეგი **დასკვნები**:

ჩვენ მიერ საანალიზოდ შერჩეული ნაწარმოებები, ძირითადად წარმოაჩენს იმ რეალობას, რომელიც დამახასიათებელია ქართული ინსტრუმენტული მუსიკისათვის 60-იანი წლებიდან დღემდე უახლესი მუსიკის სტილური ტენდენციების და ტექნოლოგიების გათვალისწინებით (მინიმალიზმი, სონორისტიკა, სერიალიზმი, ალეატორიკა და სხვ.), ასევე კომპოზიტორთა მიერ ელექტრონული მუსიკის გამოყენება, პატერნები, დაშრევებები და სხვ. ჩვენთვის საინტერესო იყო სხვადასხვა ინსტრუმენტული შემადგენლობისა და ჟანრის ნაწარმოებებში საკუთრივ დასარტყამი ინსტრუმენტების ფუნქციები და ხერხები. ცხადია, კვლევის ამ ეტაპზე ობიექტური მიზეზების გამო შეუძლებელი იყო მოგვეცვა ქართველ კომპოზიტორთა მთელი სპექტრი, რის გამოც დისერტაციის მიღმა აღმოჩნდა სხვადასხვა თაობის ბევრი კომპოზიტორის შემოქმედება, რომელთათვისაც დასარტყამი საკრავებისთვის დამახასიათებელი აღნიშნული ტენდენციები ასევე აქტუალურია (აღ. მაჭავარიანი, დ. თორაძე, ფ. დლონტი, ნ. მამისაშვილი, თ. ბაკურაძე, მ. შუღლიაშვილი, ვ. აზარაშვილი, ი. ბარდანაშვილი, მ. ოძელი, გ. ჩლაიძე, კ. ცაბაძე, ს. კეჭაყმაძე, ე. ლონდარიძე და სხვ.).

დასარტყამი ინსტრუმენტების როლის გაზრდა ორკესტრში და დასარტყამთა ჯგუფის გაფართოება XX საუკუნის მუსიკისთვის იყო ერთერთი ყველაზე დამახასიათებელი ტენდენცია. უკანასკნელი ორმოცდაათი წლის მანძილზე თვისობრივი თვალსაზრისით შეიცვალა დასარტყამ ინსტრუმენტთა ჯგუფის მიმართ დამოკიდებულება - ყველაზე უმნიშვნელოდან, სხვა საორკესტრო ჯგუფების მსგავსად, ის გადაიქცა კონცენტრირებულ და სრულყოფილებიან საორკესტრო ჯგუფად. თუკი ადრე დასარტყამი

ინსტრუმენტები გამოიყენებოდა საერთო საორკესტრო უღერადობისას (განსაკუთრებით კი კულმინაციის აღმოცენების და ხაზგასმის მომენტში), ახლა ისინი ხშირად გამოიყენება დამოუკიდებლად, რათა მათი ინდივიდუალური ტემბრი არ შეერიოს დანარჩენი ინსტრუმენტების ტემბრებს. დასარტყამები ახლა უკვე შედარებით იშვიათად არის დუბლირებული სხვა საორკესტრო ინსტრუმენტებთან, რადგანაც კომპოზიტორები უპირატესობას მათ სუფთა ტემბრებს ანიჭებენ.

შეიძლება ითქვას, რომ ორკესტრში, ტრადიციული ინსტრუმენტების ტემბრული შესაძლებლობის გაფართოება ხშირად დასარტყამების ხარჯზე ხდება, მაშინ როცა თავად დასარტყამთა ჯგუფი ევოლუციას განიცდის საწინააღმდეგო მიმართულებით – დასარტყამი ინსტრუმენტები მდიდრდებიან მელოდიური ინსტრუმენტებით ან დასარტყამებით, რომელთა ტემბრი ბევრად „მუსიკალურია“.

ინსტრუმენტთა ტემბრული დიაპაზონის გაფართოებისკენ ტენდენციამ განაპირობა ის, რომ კომპოზიტორებმა დაიწყეს დასარტყამებზე ხმის გამოცემის ხერხებისა თუ საშუალებების ზუსტი მითითება. დასარტყამი ინსტრუმენტების (მათი უმრავლესობის) უნარი შეიცვალონ ტემბრი იმის შესაბამისად, თუ რითი ან სად მოხდა ბგერის აღმოცენება (მაგალითად, თეფშზე დარტყმა ლიტავრის ჩხირით, მყარი ხალიჩის ჩხირით, რბილი ჩხირით, ხით ან მეტალით გამოსცემს სრულიად განსხვავებულ უღერადობას. თეფშის ტემბრი იცვლება ასევე დარტყმის ადგილის მიხედვითაც – კიდეზე, შუა ნაწილში ან წვერზე).

ამგვარად, მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან დღემდე ქართულ ინსტრუმენტულ მუსიკაში გაიზარდა და განვითარდა დასარტყამი ინსტრუმენტების ფუნქციები და ხერხები. საორკესტრო პარტიტურებში გაჩნდა ახალი

დასარტყამი ინსტრუმენტები, ასევე გამრავლდა თვით დასარტყამი ინსტრუმენტების სახეობები და შესაბამისად გაიზარდა მათი რიცხვიც ორკესტრში.

- სიმაღლის მქონე დასარტყამი ინსტრუმენტები გაუთანაბრდა ორკესტრის სხვა სიმაღლის მქონე ინსტრუმენტებს ფუნქციების თვალსაზრისით (ინტონაციური, კოლორიტული, ჰარმონიული, ბანის გაძლიერების, საორკესტრო პედალირების, ფონიკური, სიმბოლურ-სემანტიკური, სოლო პარტიის და სხვ.);
- გაიზარდა სიმაღლის არმქონე ინსტრუმენტების ფუნქციები (რიტმული, აქცენტირების, მეტრის გამოყოფის, სინკოპირების, მზარდი და კლებადი დინამიკურობის, საორკესტრო პედალირების, ფონიკური, ტემბრული, მათ შორის ლეიტ-ტემბრული დატვირთვით, ფორმაქმადობის, იმიტაციური და სხვ.);
- დასარტყამი ინსტრუმენტების გამომსახველობითი ხერხები გახდა უფრო მრავალფეროვანი. ტრადიციულ ხერხებს (ტრელი, ტრემოლო, ფორშლაგი, სფორცანდო, აქცენტი, შეწყვეტილი უღერადობა და სხვ.) დაემატა სხვადასხვა ტიპის ჯოხების გამოყენება, მათი მონაცვლეობა, ინსტრუმენტის სხვადასხვა ადგილზე დაკრა, ინსტრუმენტების რეზონატორების გაერთიანება და სხვ.
- დასარტყამ ინსტრუმენტებს დაეკისრა წამყვანი როლი რიტმულ პატერნებში;
- გაიზარდა დასარტყამი ინსტრუმენტების როლი დაშრევებისას საორკესტრო პარტიტურებში (უნისონში, ვერტიკალში, ვერტიკალურ სინქრონში, მრავალფუნქციური დაშრევება).

- არადასარტყამი ინსტრუმენტები გამოიყენება დასარტყამი ინსტრუმენტების ფუნქციით.
- შეიქმნა მუსიკალური ნაწარმოებები მხოლოდ დასარტყამი ინსტრუმენტებისათვის.

როგორც კვლევამ გვიჩვენა, ინტერესი ახალ ქართულ პროფესიულ მუსიკაში დასარტყამი საკრავებისადმი აღმავლობის გზით განვითარდა ტრადიციული ფუნქციებისა და ხერხების გამოყენებიდან მათ აქტიურ დრამატურგიულ-კომპოზიციურ-სტრუქტურულ როლსა და მნიშვნელობამდე. ამასთანავე, ტემბრული ძიებები და რიტმული სტიქიის დომინირება მხოლოდ ამ ჯგუფის საკრავთა უღერადობით ან მათი ფუნქციების მდიდარი სპექტრით წარმოდგენილი თვითკმარი აღმოჩნდა კომპოზიტორებისათვის, რათა შეექმნათ ნაწარმოებები მხოლოდ დასარტყამი საკრავებისთვის. აღსანიშნავია, რომ ახალ და უახლეს ქართულ მუსიკაში ბევრად მრავალფეროვანია დასარტყამი საკრავების ფუნქციები, ვიდრე - ხერხები, რომელთა გამოყენებაც ტექნოლოგიური თვალსაზრისით საგრძნობლად მწირია. ქართული მუსიკის აღნიშნული ტენდენცია XX საუკუნის დასაწყისით ევროპულ მუსიკაში მიმდინარე პროცესების თანმხვედრია და მომავალში კიდევ ბევრი ორიგინალური ნაწარმოების შექმნის საწინდარს წარმოადგენს.

**დისერტაციის მთავარი დებულებები ასახულია შემდეგ შრომებში:**

1) ლ. ბაგრატიონ-დავითაშვილი, „დასარტყამი ინსტრუმენტების გამომსახველობითი ხერხები და ფუნქციები სულხან ნასიძის სიმფონიაში „ფიროსმანი“. ქესჟ: “მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია“ რეცენზირებადი ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი, რედ. მ. ქავთარაძე; ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია; 2011 | #.1(7) [2011.12.31] გვ.65-77; მის.: <http://gesj.internet-academy.org.ge>

2) ლ. ბაგრატიონ-დავითაშვილი, „რიტმული პატერნები ბიძინა კვერნაძის ქორეოგრაფიული პოემაში სიმფონიური ორკესტრისათვის „ბერიკაობა“. ქესჟ: “მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია“ რეცენზირებადი ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი, რედ. მ. ქავთარაძე; ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია; 2013 | #.1(9) [2013.5.29] გვ.62-78; მის.:<http://gesj.internet-academy.org.ge>

Тбилисская государственная консерватория  
имени Вано Сараджишвили

*На правах рукописи*

Багратион-Давиташвили Леван Петрович

**Функции и способы использования ударных инструментов в  
произведениях грузинских композиторов  
(с 60-ых годов XX века до наших дней)**

**А В Т О Р Е Ф Е Р А Т**

диссертации на соискание академической степени  
доктора музыкальных искусств - 0805

Специализация - композиция

Тбилиси – 2014 г.

Научные руководители:

профессор-эмеритус **Мамисашвили Нодар Леванович**

доктор искусствоведения, профессор **Кавтарадзе Марина Семеновна**

Эксперт: доктор музыкальных искусств, ассоциированный профессор Ека Чабашвили

Защита состоится 7 марта, 2ч. 2014 года на заседании диссертационного совета № 2 Тбилисской государственной консерватории имени Вано Сараджишвили.

Адрес: Тбилиси, Тбилисская государственная консерватория имени Вано Сараджишвили, ул. Грибоедова №8, IV этаж, аудитория №421.

С диссертацией можно ознакомиться в библиотеке Тбилисской государственной консерватории имени Вано Сараджишвили и на веб-сайте консерватории: <http://www.conservatoire.edu.ge>

Ученый секретарь Диссертационного совета,  
доктор искусствоведения, ассоциированный  
профессор

**Мака Вирсаладзе**

## Общая характеристика работы

### Актуальность исследования

С развитием новейших технологий произошло увеличение шума в окружающем нас мире. Этот процесс повлиял и на слух человека, что вызвало определенные изменения в музыке. Естественно, возросшая потребность в новых ритмах и тембрах обусловила появление новых ударных инструментов, что нашло соответствующее отражение в композиторском творчестве. На протяжении последних десятилетий (начиная с 60-ых годов XX века и до наших дней) качественно изменился подход к группе ударных инструментов, и она стала «полноправным» членом симфонического оркестра. Более того, композиторы начали создавать произведения только для них.

